



## საქართველო

### ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულო

#### **გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა** N 40 32

25/04/2018

**სსიპ - თვითმმართველი თემი ხონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სსიპ - საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის დირექციისათვის გადაცემაზე სსიპ- თვითმმართველი თემი ხონის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 62-ე მუხლის პირველი პუნქტის, 122-ე მუხლის მე-6 პუნქტის, საქართველოს კანონის „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის, 24-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. თანხმობა მიეცეს სსიპ - თვითმმართველი თემი ხონის მუნიციპალიტეტის მერს სსიპ - საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის (ს/კ 205307960) დირექციისათვის ხონის მუნიციპალიტეტის კუთვნილი უძრავი ქონების ((მის: ქ.ხონი, სოლომონ მეორის ქუჩა N21-ში (ს/კ 37.07.38.779) მდებარე 745.0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა N1-საერთო ფართობით - 123.55კვ.მ, საბალანსო ღირებულებით - 134482.72 (ას ოცდაათოთხმეტი ათას ოთხას ოთხმოცდაორი ლარი და სამოცდათორმეტი თეთრი) ლარი)) სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით არსებობის ვადით გადაცემაზე.
2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში სამტრედიის რაიონულ სასამართლოში (ქ. სამტრედია, ძმები ნინუების ქუჩა N1).
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ვალერი ბახტაძე



საკრებულოს თავმჯდომარე